

**ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.**

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ქუთაისი 2006“ (საიდენტიფიკაციო კოდი 212880168) დაფუძნებულია 2006 წლის 30 სექტემბერს საქართველოში, (რეგისტრირებული ქალაქ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, რეგისტრაციის N 685/021) დარეგისტრირებულია იურიდიულ მისამართზე ქ.ქუთაისი შოთა რუსთაველის გამზირი N5. ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ინვესტიციების ჩადება და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება მოგების მიღების და სასრგებლო ეფექტის მიღწევის მიზნით, კომპანიის დამფუძნებელი და 100%-ის წილის მფლობელი არის შპს ბ ა ნ ინვესტი (საიდენტიფიკაციო კოდი 404636499). კომპანიას 2007 წლის 07 აგვისტოს განხორციელა ინვესტიცია შპს „ ბ. გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში“ , რომელიც წარმოადგენს შვილობილ კომპანიას, თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მართვის უფლებით გადაცემისა და მისი რეაბილიტაციის შესახებ. (დაფუძნებულია 2002 წლის 10 ივნისს საქართველოში, (რეგისტრირებული ქალაქ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, რეგისტრაციის N12/5/გ-1265) დარეგისტრირებულია იურიდიულ მისამართზე ქ.ქუთაისი ვაჟა ფშაველას ქუჩა N1. ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბავშვო ატრაქციონებით მომსახურება. დამატებით საქმიანობებს წარმოადგენს სხვადასხვა სახის სუვენირების რეალიზაცია და ფართების გაქირავება.)

ბუღალტრული აღრიცხვისათვის საწარმო იყენებს ბუღალტრულ პროგრამას „ორისი“. კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა შეადგენს 15 -ს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების (მსს ფასს სტანდარტი) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

3. საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. ყველა ოპერაციები ნაწარმოებია ქართულ ლარში. ანგარიშგებაში რიცხოზრივი მონაცემები ასახულია

ერთეულამდე სიზუსტით.

4. სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად დადგენილ პრინციპებს და ნორმებს. სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

4.1 ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენება

კომპანიამ 2018 წლიდან დაიწყო ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

4.2 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა: (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს; (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება; (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

4.3 ფულადისახსრები

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სალაროსა და საბანკო დაწესებულებაში ეროვნულ ვალუტაში.

4.4 მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

4.5 სავაჭრო მოთხოვნები.

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშევა, როდესაც

არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როცა ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სათანადოდ შეფასება.

4.6 ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად; ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყონებლის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

4.7 სავაჭრო ვალდებულებები:

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

4.8 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ. ხელფასის დარიცხვა ხდება შრომითი ხელშეკრულების მიხედვით. თანამშრომელს უკავდება საშემოსავლო გადასახადი, ხელზე იღებს დარჩენილ თანხას გადასახადების გადახდის შემდეგ.

5. განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ანგარიშგება საქმიანობის შედეგების მიხედვით 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

5.1. ნეტო ამონაგები

ნეტო ამონაგები	300505
<i>საქონლის გაყიდვიდან</i>	3198
<i>მომსახურების გაწვიდან</i>	117930
<i>სამშენებლო ხელშეკრულებებიდან</i>	0
<i>სხვა</i>	179377

საქონლის გაყიდვიდან შემოსავალი მოიცავს სხვადასხვა სახის სუვენირების რეალიზაციას, რომელიც შეადგენს 3198 ლარს, მომსახურების გაწვიდან შემოსავალი მოიცავს საბავშვო ატრაქციონების მომსახურებას 117930 ლარს და სხვა შემოსავალი მოიცავს იჯარიდან მიღებულ შემოსავალს 179377 ლარს, სულ ამონაგები საანგარიშგებო პერიოდში ჯამში შეადგენს 300505 ლარს.

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1948
<i>საწყისი მარაგები</i>	43
<i>მარაგების შესყიდვა</i>	1940
<i>გადამუშავების დანახარჯები</i>	0
<i>საბოლოო მარაგები</i>	35

საწყისი მარაგები მოიცავს სხვადასხვა სახის სუვენირების და გამაგრებელი სასმელების ნაშთს 43 ლარს, შეძენა საანგარიშგებო პერიოდში შეადგენს 1940 ლარს, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება -1948 ლარს, საბოლოო მარაგების ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის შეადგენს 35 ლარს.

დასაქმებულთა ანაზღაურება	107952
ცვეთა და ამორტიზაცია	255704
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	170085
სულ საოპერაციო ხარჯები	533741

დასაქმებულთა ხელფასმა შეადგინა 107952 ლარი, ცვეთა და ამორტიზაციამ 255704 ლარი, ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი 170085 ლარი. სულ საოპერაციო ხარჯი 533741 ლარი.

დასახელება	2021 წ
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	-233236
მოგების გადასახადი	0
მოგება /ზარალი	-233236
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-233236
მოგება/ ზარალი მშობელი საწარმოს მფლობელთათვის	-233236
მოგება/ზარალი არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის	0

მთლიანმა სრულმა მოგება/ზარალმა 2021 წელს შეადგინა -233236 ლარი, რომელიც გადატანილი იქნა გაუნაწილებელ მოგებაში.

შპს „ქუთაისი 2006“

საიდ/კოდი 212880168

კონსოლიდირებული ანგარიშგება საქმიანობის შედეგების შესახებ

საქმიანობის შედეგები	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები	300505	184963
საქონლის გაყიდვიდან	3198	456
მომსახურების გაწევიდან	117930	59409
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	179377	125098
გაყიდვების თვითღირებულება	-414	-414
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	300505	184549
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-107952	-109700
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-255704	-265944
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-170085	-158002
სულ საოპერაციო ხარჯები	-533741	-533646
საოპერაციო მოგება	-233236	-349097
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-233236	-349097
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-233236	-349097

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-233236	-349097
მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)	-233236	-349097
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)	0	0
მოგება / (ზარალი)	-233236	-349097
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი შემოსავალი	-233236	-349097
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი შემოსავალი	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-233236	-349097
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3804742	4153839
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3571506	3804742

6. განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის მიხედვით 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

შენიშვნა N1 - ფული და ფულადი ექვივალენტები

N	ბალანსი 31 დეკემბერი 2021 წელი	<u>3516</u>
1	სალარო	2397
2	ბანკი	1119

ფული და ფულის ექვივალენტები კომპანიაში განთავსებულია საბანკო დაწესებულებებში და სალარო მეურნეობაში . კომპანიას გახსნილი აქვს საბანკო ანგარიშები, როგორც ეროვნულ ვალუტაში ისე უცხოურ ვალუტაში. წლის დასაწყისში ნაშთი ფული და ფულის ექვივალენტებზე იყო 19276 ლარი, წლის განმავლობაში შემოსულია 535468 ლარი, გასულია 551228 ლარი და ნაშთმა წლის ბოლოსთვის შეადგინა 3516ლარი.

შენიშვნა N 2 - სავაჭრო მოთხოვნები

N	ბალანსი 31 დეკემბერი 2021 წელი	<u>24269</u>
1	მოთხოვნები მიწოდებიდან	24269

სავაჭრო მოთხოვნები წლის დასაწყისისთვის იყო 13796 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა მოთხოვნები 360666 ლარის, ჩაირიცხა მოთხოვნების დასაფარავად 350193 ლარი და დარჩა მისაღები 24269 ლარი.

შენიშვნა N3 -მარაგები

N	ბალანსი 31 დეკემბერი 2021 წელი	<u>35</u>
1	მზა პროდუქცია	35

საწყისი მარაგების ნაშთი შეადგენს 43 ლარს. მარაგების შეძენა საანგარიშგებო პერიოდში შეადგენს 1940 ლარს,რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 1948 ლარს,საბოლოო მარაგების ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის შეადგენს 35 ლარს.

შენიშვნა N4 -არამატერიალური აქტივები

N	ბალანსი 31 დეკემბერი 2021 წელი	<u>70929</u>
1	არამატერიალური აქტივები	70929

არამატერიალური აქტივი წლის დასაწყისში შეადგენს 72977 ლარს, დარიცხული ცვეთა 2048 ლარი, რომელიც წარმოადგენს უფლებას მართვის მოპოვებისათვის,წლის ბოლოს შეადგინა 70929 ლარი.

შენიშვნა N5 -ძირითადი საშუალებები

დასახელება	1	2	3	4	სულ
ბალანსი 31 დეკემბერი 2020 წელი	206783	3611946	42331	1959	3863019
შემოსვლა					
გასვლა					
ცვეთა		247648	4488	1518	253654
ბალანსი 31 დეკემბერი 2021 წელი	206783	3364298	37843	441	3609365

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ცხრილში, სადაც ჯგუფებად არის გაერთიანებული ძირითადი საშუალებები:

- 1 ჯგუფი - მიწა. 2. ჯგუფი - შენობები და ნაგებობები. 3. ჯგუფი - მანქანა-დანადგარები.
4. ჯგუფი- ოფისის არქიტექტურა და ავეჯი.

შენიშვნა N 6 - სავაჭრო ვალდებულებები

N	ბალანსი 31 დეკემბერი 2021 წელი	9953
1	სავაჭრო ვალდებულებები	9953

სავაჭრო ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში იყო 5379 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა 111312 ლარი, გასტუმრებული იქნა 106738 ლარი, ხოლო სავაჭრო ვალდებულების ნაშთმა საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის შეადგინა 9953 ლარი.

შენიშვნა N7 - ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ

N	ბალანსი 31 დეკემბერი 2021 წელი	45170
1	ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	45170

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ წლის დასაწყისში იყო 45620 ლარი და წლის ბოლოსათვის დარჩა 45170 ლარი.

შენიშვნა N8- საგადასახადო ვალდებულებები

N	ბალანსი 31 დეკემბერი 2021 წელი	81214
1	სულ საგადასახადო ვალდებულებები	81214

წლის ბოლოს საწარმოს ერიცხება საგადასახადო ვალდებულებები 81214 ლარი.

შენიშვნა N9 - კაპიტალი

N	დასახელება	გაუნაწილებელი მოგება	საწესდებო კაპიტალი	სხვა რეზერვები	ჯამურად
1	ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	-8102803	431130	11476415	3804742
2	საანგარიშო პერიოდის მოგება	-233236		0	- 233236
3	კაპიტალის შემცირება; დივიდენდის გაცემა				
4	ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-8336039	431130	11476415	3571506

საკუთარი კაპიტალი წლის დასაწყისში იყო 3804742 ლარი, შემცირდა ზარალით -233236 ლარით, შესაბამისად საკუთარი კაპიტალი 2021 წლის ბოლოსათვის შეადგენს 3571506 ლარს.

შპს „ქუთაისი 2006“

საიდ/კოდი 212880168

კონსოლიდირებული ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	3516	19276	8116
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	24269	13796	35251
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		0	0	0
მარაგები	3	35	43	255
მზა პროდუქცია		0	0	0
სხვა		35	43	255
საინვესტიციო ქონება		0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები		0	0	0
ბიოლოგიური აქტივები		0	0	0
თვითღირებულების მოდელით		0	0	0
გადაფასების მოდელით		0	0	0
გუდვილი		0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	4	70929	72977	75028
ძირითადი საშუალებები	5	3609365	3863019	4126911
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	0	0
სულ აქტივები		3708114	3969111	4245561
საიჯარო ვალდებულება		0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	9	9953	5379	8554
ანარიცხები		0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	7	45170	45620	21705
საგადასახადო ვალდებულებები	8	81214	112036	61463
გამოუმუშავებელი შემოსავალი		0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		0	0	0
მიღებული გრანტები		0	0	0
სხვა ვალდებულებები		271	1334	0
სულ ვალდებულებები		136608	164369	91722
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		431130	431130	431130
საემისიო შემოსავალი		0	0	0

გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		-8336038	-8102803	-7753706
გადაფასების რეზერვი			0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		11476414	11476415	11476415
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი		3571506	3804742	4153839
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)		0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	9	3571506	3804742	4153839
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3708114	3969111	4245561
სულ მოკლევადიანი აქტივები		27785	30982	41533
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		55123	55522	90193

ფულადი სახსრების მოძრაობა	2021 წ
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-15760
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-15760
სავალუტო კურსის ეფექტი	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	19276
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	3516

